

ატარის ტყის იშვიათი მერქნიანი
სახეობების ინვენტარიზაციის
მასალები



გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი 2018

ნანა (ნანი) გოგინაშვილი, ირინა თვაური, ზურაბ მანველიძე, ნინო მემიაძე, ზეზვა ასანიძე, გიორგი ღამბაშიძე



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის ტყის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მერქნიანი სახეობების: ხემარწყვა - *Arbutus andrachne* L., უთხოვარი - *Taxus baccata* L., უხრაგი - *Ostrya carpinifolia* Scop., ზეთის ხე (წყავემაზა) - *Osmanthus decorus* Boiss. & Balansa, მედედევის არყი - *Betula medwedewii* Regel, უნგერნის შქერი - *Rhododendron ungerii* Trautv., სმირნოვის შქერი - *Rhododendron smirnowii* Trautv. ინვენტარიზაციის მასალები, შედგენილია გავრცელების ამსახველი რუკები.



ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით (გრანტი №FR/570/10-120/14)

რეცენზენტი: მარინა მოსულიშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

© ნ. გოგინაშვილი, ი. თვაური, ზ. მანველიძე, ნ. მემიაძე,
ზ. ასანიძე, გ. ღამბაშიძე, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-221-0

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
ოჯახი: ზეთისხილისებრთა (OLEACEAE), წყავმაზა <i>OSMANTHUS DECORUS</i> (BOISS. & BALANSA) KASAPLIGIL (= <i>PHILLYREA WILMORIANA</i>)	7
ოჯახი: არყისებრნი (BETULACEAE), უხრავე <i>OSTRYA CARPINIFOLIA</i> SCOP.	25
ოჯახი: არყისებრნი (BETULACEAE), მეღვედევის არყი <i>BETULA MEDWEDEWII</i> REGEL	66
ოჯახი: მანანასებრნი (ERICACEAE), ხემარწყვა <i>ARBUTUS</i> <i>ANDRACHNE</i> L.	82
ოჯახი: მანანასებრნი (ERICACEAE), სმირნოვის შქერი <i>RHODODENDRON SMIRNOWII</i> TRAUTV.	95
ოჯახი: მანანასებრნი (ERICACEAE), უნგერნის შქერი <i>RHODODENDRON UNGERNII</i> TRAUTV.	107
ოჯახი: ურთხლისებრნი (TAXACEAE), უთხოვარი <i>TAXUS BACCATA</i> L.	126
ბიბლიოგრაფია	155

შესავალი

საქართველოში ტყით დაფარულია 2822.4 ათასი ჰა ფართობი, რაც ქვეყნის ტერიტორიის 40%-ს შეადგენს. საქართველოს ტყეები განლაგებულია 7 განსხვავებულ ბუნებრივ - ისტორიულ ტერიტორიაზე (ტყემცენარეულობის ოლქები). წარმოდგენილია, როგორც ნახევრადუდაბნოების არიდული (ნათელი), ასევე კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ტყეები. ტყემცენარეულობის ოლქები განსხვავებულია აგრეთვე ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით (გიგაური, 2004; 2000; გაგნიძე, დავითიძე, 2000; აბაშიძე, 1999; გულისაშვილი, 1977).

კოლხეთის ოლქი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში. დასავლეთიდან ის შემოსაზღვრულია შავი ზღვით, ჩრდილოეთიდან - მთვარი კავკასიონით, აღმოსავლეთიდან - სურამის (ლიხის) ქედით, სამხრეთიდან - აჭარა-იმერეთის ქედით. ჰავა თბილი და ტენიანია, ვერტიკალური ზონების მიხედვით ის არაერთფეროვანია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა სხვადასხვა ადგილებში მერყეობს 1200-დან 4000 მმ-მდე (Nakhutsrishvili, 2013; მანველიძე, 2009; ქვაჩაკიძე, 2001; Gagnidze, 1999). კოლხეთის ოლქში აჭარის ტყეებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აჭარის ფლორისტული რეგიონი, წარმოადგენს რა კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული პროვინციის ნაწილს, გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და თავისთავადობით, რაც განპირობებულია ჯერ კიდევ მესამეულ პერიოდში ჩამოყალიბებული უძველესი მცენარეული დაჯგუფებებით და რელიქტური და ენდემური სახეობებით მდიდარი ფლორისტული კომპლექსების სიჭარბით (Akhalkatsi, Tarkhishvili, 2012; ვარშანიძე და სხვ., 2008; აჭარის ფლორა და მცენარეულობა, 1970; კეცხოველი, 1935; 1960).

აჭარის ტერიტორიაზე ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო შენარჩუნებულია მესამეული პერიოდის უძველესი რელიქტური ფლორა, რომელთაც მიიღეს კოლხეთის ფლორის სახელწოდება, ესენია: ძელქვა (*Zelkova carpinifolia* (Pall.), K.Koch), ხურმა (*Diospiros lotus* L.), ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa* Steven), წყავმაზა (*Osmanthus decorus* Boiss. & Balansa), ხემარწყვა (*Arbutus andrachne* L.), კოლხური ჯონჯოლი (*Staphilea colchica* Steven), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos* L.), პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum* L.) და სხვა.

კოლხეთის რელიქტური ფართოფოთლოვანი შერეული ტყის ვერტიკალური გავრცელების საზღვარია ზღვის დონიდან 50 მ-დან 1000-2000 მ-მდე. კოლხური ტყე სხვა ტიპის ფართოფოთლოვანი ტყისგან განსხვავდება განსაკუთრებული სახეობრივი შემადგენლობის მქონე მარადმწვანე ქვეტყით (წყავი - *Laurocerasus*, შქერი - *Rhododendron*, ჭყორი - *Ilex*). ტყეები გამოირჩევა მაღალი წარმადობით (Manvelidze et al. 2009; ქიქოძე და სხვ, 2007; გაგნიძე, 2005; 2000; ურუშაძე, 1997; 1977; Manjavidze, 1982). აქ გავრცელებული რელიქტური მეზოფიტური სახეობებიდან მნიშვნელოვანია უხრავი (*Ostrya carpinifolia* Scop.), ხემარწყვა (*Arbutus andrachne* L.), მედვედევის არყი (*Betula medwedewii* Regel), ზეთის ხე (*Osmanthus decorus* Boiss. & Balansa), უთხოვარი (*Taxus baccata* L.). ეს სახეობები საქართველოს “წითელი ნუსხის” სახეობებია და კავკასიის ეკორეგიონის პირობებში გამოირჩევიან ვიწრო ლოკალური გავრცელებით, მათ შორის *Arbutus andrachne* L. და *Ostrya carpinifolia* Scop. მინიჭებული აქვს საფრთხეში მყოფი ტაქსონის (EN) სტატუსი, ხოლო *Betula medwedewii* Regel და *Taxus baccata* L.– მოწყვლადი (VU). ყველა სახეობა მესამეული პერიოდის რელიქტია (Manjavidze, 1982; Zohary, 1973; Гроссрейм, 1948,1936). *Betula medwedewii* Regel და *Osmanthus decorus* Boiss. & Balansa შეტანილია გლობალურად გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი მერქნიანების კავკასიის წითელ ნუსხაში (Nakhutsrishvili, et. al, 2014). *Ostrya carpinifolia* Scop. და *Betula medwedewii* მნიშვნელოვანია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ კოლხეთის ლოკალურ ენდემებს (Georgian biodiversity database, 2013; IUCN Red List, 2004; Olson, Dinerstein, 2002). წყავმაზას გარდა ეს სახეობები ძირითადად გავრცელებულია მთის შუა და ზედა სარტყლებში, მაღალი დაქანების ფერდობებზე. აჭარის ფლორისტული რეგიონი მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებს (კეცხოველი, 1960, 1980; Gagnidze, 2005) და მისი ფართობია 3,0 ათასი კმ². ტერიტორიის ჰიფსომეტრული საზღვრები კი ზღვის სანაპირო დონიდან - 2993 მ-მდეა (Долуханов, 2010; Гулисашвили и др, 1975; Дендрофлора Кавказа, 1959).

ისტორიულად ამ ტერიტორიებისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე, სახნავ-სათესი სავარგულების მწვავე უკმარისობა, ტრადიციულ მეურნეობაში ერთწლოვანი კულტურების

და მეცხოველეობის დარგის დიდი უპირატესობა; ბოლო ათწლეულებში ყოველივე ამას დაემატა სატყეო და მაგისტრალური გზების ქსელების გაფართოება, ტყის მერქნითი რესურსების არაგეგმაზომიერი გამოყენება, ბუნებაში მცენარეთა უკონტროლო შეგროვება, გარემოს დაბინძურება, ნავთობ და გაზსადენების, კაშხალებისა და სხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობანი, ტურიზმის განვითარება. ამდენად, მცენარეულ თანასაზოგადოებებზე სულ უფრო და უფრო მზარდი ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში, ცალკეული ეკოსისტემების რღვევა, დიდი რისკის ქვეშ აყენებს სახეობრივი მრავალფეროვნების სტაბილურობას, განსაკუთრებით კი უძველესი რელიქტური და ვიწრო, ლოკალური, ენდემური სახეობების ბუნებრივ ადგილსამყოფლებში შენარჩუნებას, რასაც თან სდევს მათი პოპულაციების კატასტროფული შემცირება და მომავალში გაქრობის დიდი საშიშროება (UNDP, 2013; საქართველოს იშვიათი სახეობების წითელი ნუსხა, 2006; Hill, et. al, 2005; Zazanashvili, et. al. 1999; Davis, et. al, 1994).

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის კოლხური ტყის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი შვიდი სახეობის: *Arbutus andrachne* L., *Ostrya carpinifolia* Scop., *Betula medwedewii* Regel, *Taxus baccata* L., *Osmanthus decorus* Boiss. & Balansa., *Rhododendron smirnowii* Trautv., *Rhododendron ungerii* Trautv. არელების დეტალური კვლევის შედეგები.

აღნიშნული კვლევები ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ტყეებში. სახეობების სატაქსაციო მაჩვენებლების აღრიცხვა და სანიმუშო ფართობების (საიტები) გამოყოფა მიმდინარეობდა სატყეო ინვენტარიზაციაში მიღებული მეთოდებით (აფციაური, აფციაური, 2012; Kangas, Maltamo, 2006; FAO, 1981).

კვლევის შედეგებით განახლებული იქნა ინფორმაცია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი შვიდი სახეობის შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია, როგორც კოლხეთის ტყის რელიქტური, ენდემური სახეობები და როგორც ბიომრავალფეროვნების უნიკალური ელემენტები. აღწერილი იქნა ჰაბიტატების მდგომარეობა. აღნიშნული კვლევის შედეგად შეიქმნა ზემოთ ჩამოთვლილი სახეობების ინვენტარიზაციის საბაზისო მონაცემები.

ოჯახი: ზეთისხილისებრთა (Oleaceae)

წყავმაზა *Osmanthus decorus* (Boiss. & Bal.) Kasapligil
(=*Phillyrea wilmoriniana*)

Osmanthus გვარი მოიცავს 30 სახეობას, ძირითადად გავრცელებულია თბილ ზონაში, კავკასიიდან სამხრეთ იაპონიამდე. პატარა მარადმწვანე ხეები ან ბუჩქებია, 2-12 მ სიმაღლის.


წყავმაზა (ზეთის ხე) მარადმწვანე ორსახლიანი, 3-4 მ-მდე სიმაღლის, პატარა ხე ან ბუჩქია. ფოთლები 5-17 სმ სიგრძის, ტყავისებური, მუქი მწვანე, განლაგებულია მოპირდაპირედ. ყვავილები პატარა, თეთრი და სურნელოვანია, ხოლო ნაყოფები მომრგვალო, პატარა, მეწამული შავი ფერის. წყავმაზა კოლხური ტიპის ტყეებში, ძირითადად ქვეტყეში ერთეულებად ან პატარა ჯგუფებად გვხვდება. იშვიათი სახეობაა, მესამეული ფლორის რელიქტია. გვხვდება აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში (თურქეთი) (Melia et. al, 2011).

წყავმაზა იზრდება მთის ქვედა სარტყლის გამეჩხერებულ ტყეებში, მშრალ ქვა-ლორღიან და კლდოვან ფერდობებზე, ერთეული ან მცირე რაყების სახით 800 მეტრამდე ზღვის დონიდან, ძირითადად კარგად განათებულ სამხრეთის ფერდობებზე. სახეობის ძირითადი ადგილსამყოფელი მდ. აჭარისწყლის ქვემო დინების აუზია (ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. მახუნცეთის მიდამოები). ნაყოფმსხმოიარობაში შეიმჩნევა მეწლეურობა. მსხმოიარობისას იძლევა საკმაო რაოდენობით თესლს. დეკორატიული მცენარეა, სამხრეთ კოლხეთის (აჭარა-ჭანეთის) ენდემია. სახეობა ვიწრო და ფრაგმენტული არეალის გამო შეტანილია საქართველოს "წითელ ნუსხაში" მოწყვლადი (VU) ტაქსონის სტატუსით.


ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაზუსტდა წყავმაზას არეალი. საქართველოში სახეობა გავრცელებულია მხოლოდ აჭარაში, აჭარა-იმერეთისა და შავშეთის ქედებს შორის, მდ. აჭარისწყლის ხეობაში, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე, სამხრეთის და ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე.

სახეობის არეალი იწყება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. აჭარისწყლიდან, სადაც ჩნდება პირველი ეგზემპლარები. შემდეგ

გრძელდება სოფ ერგეს მიმდებარედ. აღნიშნულ ხეობას ქედის მუნიციპალიტეტის მიმართულებით მიყვება წყავმაზას პატარა ჯგუფები. შედარებით მატულობს სიხშირე სოფ. მახუნცეთის მიდამოებში. აქ წყავმაზა გვხვდება ჯგუფებად, სადაც დაფარულობა წყვეტილად შეადგენს 20 კვ.მ. ფართობიდან 300 კვ.მ ფართობებამდე. ეს არის ტიპური კოლხური ტყეები, სადაც გავრცელებულია რცხილა, აკაცია, მურყანი, მინდვრის ნეკერჩხალი, ჭანჭყატი, თხილი, ლელვი, ჩვეულებრივი წაბლი, კავკასიური ხურმა, კავკასიური სურო და სხვ. ყველაზე მაღალი სიხშირით წყავმაზა წარმოდგენილია მდ აჭარისწყლის ხეობის დაახლოებით 2 კმ სიგრძის ზოლში, მდინარის ნაპირიდან 400-500 მ სიმაღლემდე. სახეობა უკიდურესად შევიწროებულია. მდინარის სანაპიროზე განლაგებული სოფლების მოსახლეობა ჩეხავს ბუნებრივ ნარგაობებს და მიწებს იყენებს სასოფლო-სამეურნეო მიზნით, სწორედ ამ სოფლებს შორის დარჩენილ ტერიტორიებზე არის წყავმაზას მცირე ჯგუფები.



სურ 1. წყავმაზას - (*O. decorus*) არეალი საქართველოში



სურ 2. წყავმაზას - (*O. decorus*) ლოკაციები აჭარაში

წყავმაზას არეალში აღებულია ექვსი სანიმუშო ფართობი, თითოეული 100 კვ.მ, სადაც ჩატარდა დეტალური აღრიცხვები:

საიტი №1.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 15.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფ. პირველი მაისი, კვარტ. 24, ლიტერი 34
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: ზეთის ხე (წყავმაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa) Kasapligil
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/11-01
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: VU
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: მიკროჯგუფი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: კარგი
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედით: 240433 X; 41° 53' 14.352" E
14. განედით: 4608317 Y; 41° 35' 4.945" N

15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 190
16. ექსპოზიცია: სამხრეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 30°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 70
19. ჰაბიტატის ტიპი: ტყე-კლდის კომპლექსი
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 3
21. ნიადაგი: ხირხატიანი, სიღრმე - 40 სმ
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 14.0
24. სათესლე უბანი: არის
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.): 90.75
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (წყავმაზა) – <i>Osmanthus decorus</i> (Boiss & Balansa) Kasapligil	6	3.0	18.0	
2	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dshorochensis</i> K.Koch	3	14.0	18.0	დიდხნო-ვანი
3	წაბლი - <i>Castanea sativa</i> Mill.	1	8.0	24.0	წვერბმელი
4	ხურმა ჩვეულებრივი - <i>Diospyros lotus</i> L.	1	6.0	24.0	
5	ზღმარტლი - <i>Mespilus germanica</i> L.	3	1.5	6.0	
6	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	1	4.0	10.0	
7	იელი - <i>Rhododendron luteum</i> Sweet	2	7.0	16.0	
8	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1			

27. ინდექსები:
სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,
სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;
დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: წყავმაზას ჰაბიტატისთვის სიხშირე მაღალია, აქვს ამონაყარი, არის აღმონაცენ-მოზარდი, რომელიც გამოირჩევა საუკეთესო სასიცოცხლო ნიშან-თვისებებით, ჯანმრთელი პოპულაციაა. წყავმაზას დროებითი სათესლე უბანია, რომელიც გამოირჩევა უხვი თესლმსხმოარობით. შეგროვდა თესლი სიმწიფის ფაზაში. ხნოვანება გაურკვეველი.



სურ. 3, 4. წყავმაზას - (*O. decorus*) პოპულაცია სოფ. პირველ მაისთან, ქედის მუნიციპალიტეტი

საიტი №2.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 15.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფ.პირველი მაისი, კვარტ. 24, ლიტერი 34
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: ზეთის ხე (წყავმაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa) Kasapligil
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/11-02
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: VU
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: მიკროჯგუფი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: კარგი

12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 240389 X; 41° 53' 8.312" E
14. განედი: 4608325 Y; 41° 35' 4.010" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 180
16. ექსპოზიცია: სამხრეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 70
19. ჰაბიტატის ტიპი: ტყე-კლდის კომპლექსი
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 2
21. ნიადაგი: კლდოვანი, სიღრმე - 5-10 სმ
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 12.0
24. სათესლე უბანი: არა
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (წყავმაზა) – <i>Osmanthus decorus</i> (Boiss & Balansa) Kasapligil	11	3.0	8.0	
2	ხურმა - <i>Diospyrus lotus</i> L.	1	5.0	14.0	
3	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1	4.0	8.0	
4	თხილი ჩვეულებრივი - <i>Corylus avellana</i> L.	4	2.5	6.0	
5	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	1	6.0	8.0	
6	წაბლი - <i>Castanea sativa</i> Mill.	2	6.0	40.0	წვერხმელი
7	ქორაფი - <i>Acer laetum</i> C.A.Mey.	4	12.0	14.0	
8	კუნელი - <i>Crataegus monogyna</i> Jacq.	1			
9	ზღმარტლი - <i>Mespilus germanica</i> L.	1			უხვად
10	მაყვალი - <i>Rubus</i> sp.				უხვად

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: წყავმაზა ქმნის გაუვალ ბუჩქნარებს.



სურ. 5. წყავმაზას - (*O. decorus*) ბუნებრივი განახლების ტერიტორია იუვენილური ბუჩქნარით

საიტი №3.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 15.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფ.პირველ მაისთან, აწჰესი, კვარტალი 52, ლიტერი 3
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე

7. სამიზნე სახეობა: ზეთის ხე (წყავემაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa) Kasapligil
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/11-03
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: VU
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: მიკროჯგუფი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: კარგი
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 240708X; 41° 53' 22.241" E
14. განედი: 4608205 Y; 41° 35' 0.523" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 165
16. ექსპოზიცია: ჩრდილოეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 80
19. ჰაბიტატის ტიპი: ტყე-კლდის კომპლექსი
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 5
21. ნიადაგი: ხირხატიანი, სიღრმე - 50 სმ
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 10.0
24. სათესლე უბანი: არის
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.): 75.45
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (წყავემაზა) – <i>Osmanthus decorus</i> (Boiss & Balansa) Kasapligil	7	4.5	10.0	
2	ჯონჯოლი ჩვეულებრივი - <i>Staphylea pinnata</i> L.	2	6.0	12.0	
3	შიშველი თელადუმა - <i>Ulmus glabra</i> Huds.	1	4.5	10.0	
4	ნეკერჩხალი ჩვეულებრივი - <i>Acer campestre</i> L.	8	8.0	18.0	
5	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus</i>	4	6.0	12.0	

	<i>caucasica</i> Grossh.				
6	წყავი - <i>Laurocerasus officinalis</i> M.Roem.	1	7.0	12.0	
7	ჭანჭყატი ფარფოთოლა- <i>Euonymus latifolius</i> (L.) Mill.	2	1,5	6,0	
8	მურყანი ჩვეულებრივი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	1	10.0	12.0	
9	იფანი - <i>Fraxinus excelsior</i> L.	1	4.5	10.0	
10	დიდგულა - <i>Sambucus nigra</i> L.	8	1.8	6.0	
11	ხურმა ჩვეულებრივი - <i>Diospyros lotus</i> L.	2	6.0	24.0	

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: წყავმაზას ეგზემპლარები შედარებით ახალგაზრდა ბუჩქებითაა წარმოდგენილი, აღსანიშნავია, რომ ნაყოფები აქვს შედარებით ხნოვანს ბუჩქებს, მდინარის სანაპიროდან 150 მ-ის სიმაღლეზე ქმნის გაუვალ რაყებს. თესლი შეგროვდა სიმწიფის ფაზაში.



სურ. 6. წყავმაზას - (*O. decorus*) ინდივიდი ნაყოფის სიმწიფის ფენოლოგიურ ფაზაში

საიტი №4.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: **18.07.2016**
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: **სოფელი მახუნცეთი, (ტურბინასთან), კვარტალი 38, ლიტერი 30**
4. საკუთრების ფორმა: **სახელმწიფო**
5. მართვის ორგანო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**
6. ტყის კატეგორია: **დაცვითი ტყე**
7. სამიზნე სახეობა: **ზეთის ხე (წყავმაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa)**
8. სამიზნე სახეობის კოდი: **2016/11-04**
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: **VU**
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: **მიკროჯგუფი**
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: **საშუალო**
12. სანიმუშო ფართობი (მ²): **100**
13. გრძედი: **238809 X; 41° 52' 2.195" E**
14. განედი: **4607018 Y; 41° 34' 19.862" N**
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): **145**
16. ექსპოზიცია: **სამხრეთი**
17. დახრილობა (გრადუსი): **90°**
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): **65**
19. ჰაბიტატის ტიპი: **ფოთლოვანი ტყე, ტყე- კლდის კომპლექსი**
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): **5**
21. ნიადაგი: **კლდოვანი, სიღრმე - 5-15 სმ**
22. იარუსიანობა: **2**
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): **8.0**
24. სათესლე უბანი: **არა**
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე **100 კვ.მ.:**

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (წყავმაზა) – <i>Osmanthus decorus</i> (Boiss&Balansa) Kasapligil	13	3.0	10.0	
2	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	6	5.0	10.0	
3	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dshorochensis</i> K.Koch	4	8.0	14.0	
4	ქორაფი - <i>Acer laetum</i> C.A.Mey.	3	7.0	10.0	
5	წაბლი - <i>Castanea sativa</i> Mill.	1	4.0	20.0	წვერბმელი
6	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	1	5.0	16.0	
7	ლედვი - <i>Ficus carica</i> L.	1	4.0	12.0	
8	პონტოს შქერი - <i>Rhododendron ponticum</i> L.	1			
9	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1			
10	წყავი - <i>Laurocerasus officinalis</i> M.Roem.	1			
11	კოლხური სურო - <i>Hedera colchica</i> (K.Koch) K.Koch	1			

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: მდინარე აჭარისწყლის პირას ორივე მხარეს 90 გრ.

დახრილობის კლდეებზე უთხელესი ნიადაგის საფარის

პირობებში იზრდება კოლხური ტყე, სადაც კარგად ხარობს

წყავმაზაც.



სურ. 7. წყავმაზას - (*O. decorus*) პოპულაცია 90° დახრილობის კლდოვან სუბსტრატზე

საიტი №5.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 17.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფ.აჭარისწყალი, კვარტალი 26, ლიტერი 23
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: ზეთის ხე (წყავმაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa) Kasapliligil
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/11-05
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: VU
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: ერთეული
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: საშუალო
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 226528 X; 41° 43' 17.436" E
14. განედი: 4604151Y; 41° 32' 32.268" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 55

16. ექსპოზიცია: **სამხრეთი**
17. დახრილობა (გრადუსი): **45°**
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): **80**
19. ჰაბიტატის ტიპი: **ფოთლოვანი ტყე, ტყე-კლდის კომპლექსი**
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): **5**
21. ნიადაგი: **კლდოვანი, სიღრმე - 5-10 სმ**
22. იარუსიანობა: **2**
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): **12.0**
24. სათესლე უბანი: **არა**
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	სახეობა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (წყვემაზა) - <i>Osmanthus decorus</i> (Boiss & Balansa) Kasapligil	3	3.5	8.0	
2	მურყანი ჩვეულებრივი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	2	12.0	18.0	
3	ცრუაკაცია - <i>Robinea pseudoacacia</i> L.	6	12.0	14.0	
4	ბზა - <i>Buxus colchica</i> Pojark.	4	4.0	10.0	გამხმარი
5	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	2	4.0	12.0	
6	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	2	18.0	40.0	
7	დიდგულა - <i>Sambucus nigra</i> L.	1	4.0	10.0	
8	პონტოს შქერი - <i>Rhododendron ponticum</i> L.	2			
9	სურო კოლხური - <i>Hedera colchica</i> (K.Koch) K.Koch				უხვი რაოდენობით
10	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1			
11	ლიმონი მწარე - <i>Poncirus trifoliata</i> (L.) Raf.	1			

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება ერთეულ ინდივიდებად;
ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,
სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;
დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: გვხვდება ერთი დიდი ბუჩქი ამონაყრითი ნაზარდით,
ხნოვანი, ნაყოფმსხმოიარე.



სურ. 8. წყავმაზას - (*O. decorus*) პოპულაცია ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტში

საიტი №6.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 18.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფ. მახუნცეთი (ტურბინა), კვარტალი 50,
ლიტერი 12
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: ზეთის ხე (წყავმაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa)

8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/11-06
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: VU
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: მიკროჯგუფი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: არ არის
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 238947 X; 41° 52' 8.419" E
14. განედი: 4606991 Y; 41° 34' 19.974" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 155
16. ექსპოზიცია: ჩრდილო-დასავლეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 70
19. ჰაბიტატის ტიპი: პოლიდომინანტური, ფოთლოვანი ტყე
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 10
21. ნიადაგი: ხირხატიანი, კლდოვანი, სიღრმე - 5-50 სმ
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 8.0
24. სათესლე უბანი: არა
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.)
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (წყავემაზა) – <i>Osmanthus decorus</i> (Boiss. & Balansa) Kasapligil	8	3.0	12.0	
2	უთხოვარი - <i>Taxus baccata</i> L.	3	3.0	18.0	
3	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	6	5.0	16.0	
4	მურყანი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	8	5.0	16.0	
5	წაბლი - <i>Castanea sativa</i> Mill.	3	8.0	20.0	
6	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	8	6.0	18.0	
7	შიშველი თელადუმა - <i>Ulmus glabra</i> Huds.	1	6.0	10.0	

8	ქორაფი - <i>Acer laetum</i> C.A.Mey.	2	8.0	16.0	
9	ნაძვი ალმოსავლური - <i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	2	2.5	8.0	ახალგაზრდა
10	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dshorochensis</i> K.Koch	2	8.0	14.0	
11	პონტოს შქერი - <i>Rhododendron ponticum</i> L.	4			
12	თელა - <i>Ulmus glabra</i> Huds.	2	2.5		
13	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	1	1.5		
14	ლედვი - <i>Ficus carica</i> L.	1	2.5		
15	მაყვალი - <i>Rubus sp.</i>				უხვად

27. ინდექსები:


სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: პოლიდომინანტური ხავსიანი ტყე. 10 % - ხავსები მცენარეებზე, 20% - ქვებზე, 20 % კლდეებზე. ბალახოვანი მცენარეების დაფარულობა 30%.



სურ. 9. წყავმაზას - (*O. decorus*) პოპულაცია სოფ. მახუნცეთთან, ქედის მუნიციპალიტეტი

საიტი №7.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: **18.07.2016**
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: **სოფელი მახუნცეთი (ტურბინასთან), კვარტალი 50, ლიტერი 12**
4. საკუთრების ფორმა: **სახელმწიფო**
5. მართვის ორგანო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**
6. ტყის კატეგორია: **სამეურნეო ტყე**
7. სამიზნე სახეობა: **ზეთის ხე (წყავმაზა) - *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa) Kasapligil**
8. სამიზნე სახეობის კოდი: **2016/11-07**
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: **VU**
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: **მიკროჯგუფი**
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: **კარგი**
12. სანიმუშო ფართობი (მ²): **100**
13. გრძედი: **238957 X; 41° 52' 8.150" E**
14. განედი: **4606967 Y; 41° 34' 17.827" N**
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): **150**
16. ექსპოზიცია: **ჩრდილო-დასავლეთი**
17. დახრილობა (გრადუსი): **45°**
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): **65**
19. ჰაბიტატის ტიპი: **ფოთლოვანი ტყე, კლდე-ტყის კომპლექსი**
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): **10**
21. ნიადაგი: **ხირხატიანი, კლდოვანი სიღრმე 1 0-50 სმ**
22. იარუსიანობა: **2**
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): **7.0**
24. სათესლე უბანი: **არის**
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.): **51.60**
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ზ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	ზეთის ხე (<i>წყავმაზა</i>) – <i>Osmanthus decorus</i> (Boiss. & Balansa) Kasapligil	10	3.0	8.0	
2	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	6	5.0	16.0	
3	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	4	12.0	20.0	
4	ნაძვი აღმოსავლური - <i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	1	4.0	12.0	
5	მურყანი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	3	7.0	12.0	
6	პონტოს შქერი - <i>Rhododendron ponticum</i> L.	6			
7	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	1	1.5		
8	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1			
9	წყავი - <i>Laurocerasus officinalis</i> M.Roem.	1			მოზარ დი

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: ამ ფართობზე დომინანტობს უხრავი, ხოლო უფრო
ქვევით მურყანი, ფართობზე უხვად იზრდება ეწერის გვიძრა.
თესლები შეგროვებულ იქნა სიმწიფის ფაზაში.



სურ. 10, 11. წყავმაზას - (*O. decorus*) ახალგაზრდა პოპულაცია

ოჯახი: არყისებრნი (Betulaceae)

უხრავი *Ostrya carpinifolia* Scop.

უხრავი საშუალო ზომის ხეა, მუქი მურა ან მუქი რუხი ფერის, ოდნავ დახეთქილი ქერქით; ნორჩი ყლორტები მურა ფერისაა, გრძელი ბეწვებით შებუსული; კვირტები მოგრძო კვერცხისებრია, მობლაგვო, ქერქლებით; ნორჩი ფოთლები მთლიანად ბეწვითაა შებუსული, ზრდასრული კი შიშველია ან ძარღვების კუთხეებში ან მათ გასწვრივაა ბეწვიანი. ფოთლის ფირფიტა 4-10 სმ სიგრძის, 3-6 სმ სიგანის, მოყვანილობით მოგრძო კვერცხისებრ წაწვეტებული, ძირში მომრგვალებული ან ოდნავ გულისებრ ამოკვეთილი, კიდეზე ორმაგ ხერხკბილა. ფოთლების განლაგება მორიგეობითია. ყვავილობს უხრავი ჩვეულებრივ აპრილში, ფოთლების გაშლასთან ერთად. მამრობითი და მდედრობითი ყვავილედეები განლაგებულია ცალკე-ცალკე, მთლიან მჭადა ყვავილედეებად შეკრებილი. მამრობითი მჭადა ყვავილედეები მოწითალო-ყავისფერია, დამტვერვის დროს აღწევს 5 სმ სიგრძეს, ხოლო მდედრობითი ძლივს აღწევს 1 სმ-ს. ნაყოფები - კაკლები კვერცხისებურია, წაწვეტებული, გლუვი, დაახლოებით 5 მმ, მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

უხრავი ველურად იზრდება კავკასიაში, ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და მცირე აზიაში (Pasta, et. al, 2016) გავრცელებულია მთის შუა ზონაში, ხეობებსა და კლდეებზე 1200 მ-მდე ზ.დ., უპირატესობას ანიჭებს ფართოფოთლოვან ტყეებს. იშვიათად გვხვდება უხრავის წმინდა კორომები. კარგად იზრდება კარბონატულ ნიადაგებზე. სითბოს და სინათლის მოყვარული ქსეროფიტი მცენარეა, მაგრამ საკმაოდ ჩრდილის ამტანიც არის. იზრდება ნელა, წელიწადში საშუალოდ - 15 სმ, მესამე წელს 30-70 სმ-მდე, ხოლო მაქსიმალურ სიმაღლეს აღწევს 40 წლის ხნოვანებაში, რის შემდეგ უფართოვდება ვარჯი და სქელდება ქერქი. ზრდასრული ხეების სიმაღლე 15-22 მ-ია, მსხვილი ქერქით. უხრავი გვალვამძლე და ყინვამძლეა, სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელს აღემატება. უხრავის მკვრივი, მოვარდისფრო ელფერის მერქანი გამოიყენება სხვადასხვა ნაკეთობის დასამზადებლად. სახეობა ფრაგმენტული

არეალის და რიცხოვნობის მკვეთრი შემცირების გამო შეტანილია საქართველოს "წითელ ნუსხაში" გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი (EN) ტაქსონის სტატუსით.

ექსპედიციების დროს აღწერილი იქნა უხრავის ძირითადი არეალი შავშეთის ქედის კალთებზე, მდ. ჩირუხისწყლის ხეობაში, მარჯვენა სანაპიროზე, დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. დაფიქსირდა ერთეული ეგზემპლარები, მცირე ჯგუფები და შერეული კორომები. ოთხ ადგილას მონიშნული იქნა სათესლე უბანი.

უხრავის ადგილსამყოფელისათვის დამახასიათებელია ქსეროფილური მცენარეები ხმელთაშუაზღვის, წინა და მცირე აზიის სახეობების სიჭარბით, განსაკუთრებით ტყე-კლდის კომპლექსებში. ტყის ეკოსისტემები წარმოდგენილია ძირითადად მუხნარი ფორმაციებით, რომლებსაც ქმნიან ჰართვისისა და ჭოროხის მუხები, კავკასიური ფიჭვის - *Pinus sosnowskii* Nakai-ს მონაწილეობით. ქვეტყეც წარმოდგენილია ქსეროფილური ბუჩქნარებით - *Cistus salvifolius* L., *Juniperus rufescens* Link, *Crataegus pentagyna* Waldst. & Kit., *Rosa canina* L., *Pyracantha coccinea* M.Roem., *Rubus* spp. და სხვ. ძირითადად გავრცელებულია შუახევის რაიონული ცენტრიდან 10 კმ რადიუსით ირგვლივ ტყეებში.

მდ. ჩირუხისწყლისა და მდ. აჭარისწყლის შესართავთან იწყება ცალკეული ეგზემპლარების გამოჩენა, დაახლოებით 100-150 მ-ის დაშორებით აქა-იქ გვხვდება უხრავის ეგზემპლარები. რაც უფრო მაღლა ავდივართ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდ. ჩირუხისწყლის ხეობის სათავისკენ, მით უფრო მატულობს შეხვედრის სიხშირე. უხრავის პირველი მცირე დაჯგუფება (20-მდე ხე) შეგვხვდა წერტილში, რომლის კოორდინატებია: 0738273 N, 4623627 E. აქ ხეების საშუალო ხნოვანება 70 წელია, საშუალო სიმაღლე 5 მ, ხოლო საშუალო დიამეტრი 18 სმ. აღებული იქნა თესლი. ამის შემდეგ გვხვდება დაჯგუფებები. ერთ-ერთი ასეთი მსხვილი დაჯგუფება (60-მდე ხე) შუახევის რაიონში სოფ. ოქროპილაურთან, სიმაღლე ზ.დ. 465 მ. აქ გამოყოფილი იქნა დროებითი სათესლე უბანი. შეგროვდა თესლი. მდ. ტბეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე 500-600 მ ზ.დ. დაახლოებით 2,5-3 კმ ზოლში არის უხრავის შესანიშნავი შერეული კორომები. აქ შემადგენლობაა: 5 უხრავი, 5 სხვა დანარჩენი სახეობა (მუხა, ფიჭვი,

რცხილა). უხრავის საშუალო სიმაღლე 5 მ. საშუალო დიამეტრი 18 სმ. შუახევის მუნიციპალიტეტში სოფ. უჩამბასთან გამოიყო სათესლე უბანი.


კარგი კორომებია სოფ. ტბეთის მისადგომებთან, ამ ადგილს ადგილობრივები უწოდებენ “ქვის სასროლიას”. სიმაღლე ზ.დ 824 მ. ამის შემდეგ სიმაღლის მატებასთან ერთად სიხშირე იკლებს. ყველაზე მაღალი წერტილი, სადაც უხრავი დაფიქსირდა იყო 993 მ.

უხრავის შესანიშნავი წმინდა კორომი აღწერილი იქნა ხულოს მუნიციპალიტეტში სოფ. ჩაოს მომდებარედ მდ. აჭარისწყლის ხეობაში, ჩრდილოეთ ფერდობზე. აქ უხრავს უკავია დაახლოებით 15 ჰა ფართობი. ამ კორომში უხრავის საშუალო ხნოვანება 40 წელია, კორომში გვხვდება ხნოვანი ინდივიდები, რომელთა სიმაღლე 20–22 მ, დიამეტრი 80 სმ, ხოლო ხნოვანება 100–120 წელია. კორომი იმყოფება 700–800 მ სიმაღლეზე ზ.დ. უხრავი შედარებით ნაკლები სიხშირით გავრცელებულია მდ. სხალთის ხეობაში.

ამრიგად, უხრავი გავრცელებულია ჩირუხისწყლის, სხალთის, ტბეთისა და აჭარისწყლის ხეობებში, 150 მ-დან 1000 მ-მდე არეალში.



სურ. 12. უხრავის (*O. carpinifolia*)
ლოკაციები აჭარაში



სურ. 13. უხრავის (*O. carpinifolia*) პოპულაციები

საიტი №1.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 10.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: შუახევის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფელი უჩამბა, კვარტალი 56, ლიტერი 13
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: უხრავი - *Ostrya carpinifolia* Scop.
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/12-01
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: EN
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: მიკროჯგუფი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: საშუალო
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედითი: 263892 X; 42° 9' 59.912" E
14. განედით: 4609832 Y; 41° 36' 19.057" N

15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 566
16. ექსპოზიცია: დასავლეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 50
19. ჰაბიტატის ტიპი: ტყე-კლდის კომპლექსი
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 7
21. ნიადაგი: ხირხატიანი, სიღრმე - 15-20 სმ
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 12.0
24. სათესლე უბანი: არა
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	7	5.0	22.0	
2	წაბლი - <i>Castanea sativa</i> Mill.	7	6.0	20.0	
3	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dshorochensis</i> K.Koch	2	12.0	16.0	
4	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	27	8.0	14.0	
5	ნაძვი ადმოსავლური - <i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	5	12.0	16.0	
6	ფიჭვი - <i>Pinus sosnowskyi</i> Nakai	2	6.0	18.0	
7	მდგნალი - <i>Salix carpea</i> L.	2	1.5	10.0	
8	მურყანი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	1	4.0	12.0	
9	ნეკერჩხალი - <i>Acer laetum</i> C.A.Mey.	1	6,0	12.0	
10	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	3	1.5	8.0	
11	ვერხვი ჩვეულებრივი - <i>Populus tremula</i> L.	3	4.5	6.0	
12	იელი - <i>Rhododendron luteum</i> Sweet	2			

27. ინდექსები:

სოციალურობა: **იზრდება მცირე რიცხვის ინდივიდების პატარა ჯგუფებად;**

ვიტალურობა და ფერტილურობა: **კარგად ვითარდება, სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;**

დაზიანებები: **გაურკვეველი წარმოშობის ჭკნობა.**

28. შენიშვნა: **შეინიშნება აღმონაცენ-მოზარდი, მაგრამ არ აღინიშნება ზრდა-განვითარება. მიზეზი, შესაძლოა იყოს მცოცავი ნიადაგი.**



სურ. 14. უხრავის იუვენილური ფორმა



სურ.15. უხრავის ნაყოფი

საიტი №2

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 10.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: შუახევის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: **სოფელ ტბეთსა და უჩამბას შორის, (მდ.ტბეთის წყლის ხეობა), კვარტალი 63, ლიტერი 6**
4. საკუთრების ფორმა: **სახელმწიფო**
5. მართვის ორგანო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**
6. ტყის კატეგორია: **დაცვითი ტყე**
7. სამიზნე სახეობა: **უხრავი - *Ostrya carpinifolia* Scop.**
8. სამიზნე სახეობის კოდი: **2016/12-02**
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: **EN**
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: **კორომი**

11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: **საშუალო**
12. სანიმუშო ფართობი (მ²): **100**
13. გრძედი: **262083 X; 42° 8' 44.198" E**
14. განედი: **4608191 Y; 41° 35' 23.979" N**
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): **822**
16. ექსპოზიცია: **ჩრდილოეთი**
17. დახრილობა (გრადუსი): **45°**
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): **60**
19. ჰაბიტატის ტიპი: **ტყე-კლდის კომპლექსი**
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): **6**
21. ნიადაგი: **ხირხატიანი, სიღრმე - 10 სმ**
22. იარუსიანობა: **2**
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): **16.0**
24. სათესლე უბანი: **არა**
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia Scop.</i>	10	3.0	8.0	ახალგაზრდა
2	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dshorochensis K.Koch</i>	6	12.0	14.0	
3	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica Grossh.</i>	8	14.0	20,0	
4	ნაძვი აღმოსავლური - <i>Picea orientalis (L.) Peterm.</i>	1	4.0	12.0	
5	წიფელი - <i>Fagus orientalis Lipsky</i>	2	16.0	22	

27. ინდექსები:
 - სოციალურობა: **იზრდება მცირე რიცხვის ინდივიდების პატარა ჯგუფებად;**
 - ვიტალურობა და ფერტილურობა: **მრავლდება ვაგეტაციურად, სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;**
 - დაზიანებები: **გაურკვეველი წარმოშობის ჭკნობა.**



სურ. 16, 17. უხრავის (*O. carpinifolia*) ყლორტები

საიტი №3.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 10.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: შუახევის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფელ უჩამბას მიმდებარე ტერიტორია, კვარტალი 56, ლიტერი 20
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: უხრავი - *Ostrya carpinifolia* Scop.
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/12-03
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: EN
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: კორომი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: საშუალო
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 264287 X; 42° 10' 16.572" E
14. განედი: 4610103 Y; 41° 36' 28.254" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 520
16. ექსპოზიცია: დასავლეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 50
19. ჰაბიტატის ტიპი: ტყე-კლდის კომპლექსი

20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 5
 21. ნიადაგი: ხირხატიანი, სიღრმე - 5-10 სმ
 22. იარუსიანობა: 2
 23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 10.0
 24. სათესლე უბანი: არა
 25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
 26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	უხრავე - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	8	5.0	16.0	დიდხნოვანი
2	ნაძვი ალმოსავლური - <i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	1	2.0	4.0	მოზარდი
3	ვერხვი ჩვეულებრივი - <i>Populus tremula</i> L.	5	3.0	4.0	მოზარდი
4	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dschorochensis</i> K.Koch	1	6.0	12.0	
5	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	1	5.0	14.0	
6	ფიჭვი - <i>Pinus sosnowskyi</i> Nakai	1	11.0	20.0	
7	მურყანი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	2	0.5		მოზარდი
8	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	1	1.5		
9	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1	2.0	8.0	
10	მაყვალი - <i>Rubus sp.</i>	15			

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;
 ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,
 სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;
 დაზიანებები: მცირედი ჭკნობა.

28. შენიშვნა: ნაყოფები შეინიშნება მცირე რაოდენობით, ზოგადად 2016 წელი გამოირჩეოდა უხრავეს ნაკლები ნაყოფმსხმოიარობით.

საიტი №4

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 11.07.2016
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: შუახევის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფელი ფურტიოს მიმდებარედ, (სხალთის ხეობა), კვარტალი 49, ლიტერი 4
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: უხრაგი - *Ostrya carpinifolia* Scop.
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2016/12-04
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: EN
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: ერთეული ხე
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: საშუალო
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 271867 X; 42° 15' 42.049" E
14. განედი: 4611295 Y; 41° 37' 14.788" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 547
16. ექსპოზიცია: ჩრდილოეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 90
19. ჰაბიტატის ტიპი: ტყე-კლდის კომპლექსი
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 4
21. ნიადაგი: ხირხატანი, სიღრმე - 10-15 სმ
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 10.0
24. სათესლე უბანი: არა
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	უხრავე - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	3	5.0	18.0	120 წლის ხნოვანების
2	მუხა ჭოროხის - <i>Quercus dshorochensis</i> K.Koch	3	8.0	20.0	100 წლის ხნოვანების
3	ნაძვი აღმოსავლური - <i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	3	5.0	10.0	ერთეული
4	ფიჭვი - <i>Pinus sosnowskyi</i> Lipsky	2	4.0	10.0	
5	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	8	7.0	16.0	
6	კაკალი - <i>Juglans regia</i> L.	2	7.0	18.0	
7	ცრუაკაცია - <i>Robinia pseudoacacia</i> L.	1	3.0		მოზარდი
8	თამელი - <i>Sorbus torminalis</i> (L.) Crantz	3			ერთეული
9	მურყანი - <i>Alnus barbata</i> C.A.Mey.	3	10.0	12.0	ერთეული
10	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1	2.0		

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება მცირე რიცხვის ინდივიდების პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: უხრავის აღმონაცენი და მოზარდი გვხვდება გაფანტულად. ნაყოფი შუა სიმწიფის ფაზაშია.

საიტი №5

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: **11.07.2016**
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: **შუახევის მუნიციპალიტეტი**
3. ადგილმდებარეობა: **სოფ. ფურტიოსა და სოფ. სხალთას შორის, კვარტალი 50, ლიტერი 58**
4. საკუთრების ფორმა: **სახელმწიფო**
5. მართვის ორგანო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**
6. ტყის კატეგორია: **დაცვითი ტყე**
7. სამიზნე სახეობა: **უხრაგი - *Ostrya carpinifolia* Scop.**
8. სამიზნე სახეობის კოდი: **2016/12-05**
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: **EN**
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: **კორომი**
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: **კარგი**
12. სანიმუშო ფართობი (მ²): **100**
13. გრძედი: **272882 X; 42° 16' 27.719" E**
14. განედი: **4609933 Y; 41° 36' 31.715" N**
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): **653**
16. ექსპოზიცია: **ჩრდილოეთი**
17. დახრილობა (გრადუსი): **35°**
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): **70**
19. ჰაბიტატის ტიპი: **ტყე-კლდის კომპლექსი**
20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): **3**
21. ნიადაგი: **ხირხატანი, სიღრმე - 40 სმ**
22. იარუსიანობა: **2**
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): **7.0**
24. სათესლე უბანი: **არის**
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.): **7.17**
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	10	3.0	10.0	
2	რცხილა კავკასიური - <i>Carpinus caucasica</i> Grossh.	8	5.0	14.0	
3	ნაძვი აღმოსავლური - <i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	1	2.5		
4	წაბლი - <i>Castanea sativa</i> Mill.	2	7.0	16.0	წვერხმელი
5	ცაცხვი კავკასიური - <i>Tilia caucasica</i> Rupr.	2	5.5	14.0	
6	თხილი - <i>Corylus avellana</i> L.	4	3.0		
7	შინდანწლა - <i>Cornus australis</i> C.A.Mey.	1	2.5		
8	თამელი - <i>Sorbus torminalis</i> C.A.Mey.	1			
9	კუნელი - <i>Crataegus microphylla</i> K.Koch	1	4.0		
10	მაყვალი - <i>Rubus</i> sp.	15			

27. ინდექსები:

სოციალურობა: იზრდება პატარა ჯგუფებად;

ვიტალურობა და ფერტილურობა: კარგად ვითარდება,

სასიცოცხლო ციკლს ამთავრებს რეგულარულად;

დაზიანებები: არ აღინიშნება.

28. შენიშვნა: უხრავების სათესლე უბანი, ნაყოფი შუა სიმწიფის ფაზაშია, უხვი აღმონაცენ-მოზარდით. ტყის შემადგენლობა: 5 რცხ., 4 უხრ., 1 ნაძვი+წაბლი+ცაცხვი. თითქოს არ არის ხშირი ტყის კომპლექსი, მაგრამ მიწის ცარიელი ადგილები, 10%-ს არ აღემატება.



სურ. 18, 19. უხრავის (*O. carpinifolia*) კორომი, ნაყოფები

საიტი №6.

1. აღრიცხვის ჩატარების თარიღი: 25.06.2017
2. რეგიონი, მუნიციპალიტეტი: შუახევის მუნიციპალიტეტი
3. ადგილმდებარეობა: სოფელი ტბეთი „ქვის სასროლია“, კვარტალი 63, ლიტერი 11
4. საკუთრების ფორმა: სახელმწიფო
5. მართვის ორგანო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
6. ტყის კატეგორია: დაცვითი ტყე
7. სამიზნე სახეობა: უხრავი - *Ostrya carpinifolia* Scop.
8. სამიზნე სახეობის კოდი: 2017/12-09
9. იშვიათობის სტატუსი IUCN მიხედვით: EN
10. სამიზნე სახეობის გავრცელების კატეგორია: კორომი
11. სამიზნე სახეობის აღმონაცენი: საშუალო
12. სანიმუშო ფართობი (მ²): 100
13. გრძედი: 262624 X; 42° 9' 8.891" E
14. განედი: 4607240 Y; 41° 34' 53.759" N
15. სიმაღლე ზღვის დონიდან (მ): 980
16. ექსპოზიცია: ჩრდილო-დასავლეთი
17. დახრილობა (გრადუსი): 45-50°
18. ტყის პროექციული დაფარულობა (%): 90
19. ჰაბიტატის ტიპი: შერეული ფოთლოვანი ტყე

20. ჰაბიტატის ფართობი (ჰა): 5
21. ნიადაგი:
22. იარუსიანობა: 2
23. ტყის პროექციული სიმაღლე (მ): 20.0
24. სათესლე უბანი: არა
25. თესლთა ბანკში თესლის ნიმუშის წონა (გრ.):
26. მცენარეულობა სანიმუშო ფართობზე 100 კვ.მ.:

№	ს ა ხ ე ო ბ ა	მცენარეთა რაოდენობა	საშ. სიმაღლე (მ)	საშ. დიამეტრი (სმ)	შენიშვნა
1	უხრავი - <i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	10	6.0	12.0	უმეტესი 4 მ
